



## მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 21 თებერვალი, 2017 წელი

დრო: 15:00 – 16:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი  
(ყოფილი ევროპის სახლი)

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მარიამ ოზაშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
2. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
3. ნინო თალაკვაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
6. ნიკოლოზ ლეგაშვილი - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
7. თამარ გედევანიშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ია შერაზადიშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. შალვა ლაზარიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. სოფიო შელეგია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. გიგა ბექაური - საქართველოს პროფესიული კავშირების ახალგაზრდული ორგანიზაცია

### მოწვეული სტუმრები:

1. სტიუარტ მაკინტაიერი - ოკაიოს სტუდენტური ასოციაციის პრეზიდენტი
2. ჰეზერ ლევერტი - ამერიკის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელი
3. ვიტალი კუსმი - ოკაიოს მშენებელთა პროფკავშირის წევრი და პროფესიული განათლების კურსის ბენეფიციარი

## განსახილველი საკითხები:

- სოციალური დიალოგის პრაქტიკა აშშ-ში და საქართველოში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფკავშირების თანამშრომლობის მაგალითები;
- დისკუსია.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

როგორც ქალბატონმა რაისა ლიპარტელიანმა აღნიშნა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება ამერიკის პროფკავშირების სოლიდარობის ცენტრის გაცვლითი პროგრამის 3 მონაწილეს მასპინძლობს. პროგრამა ემსახურება პროფკავშირების და ადამიანის შრომითი და სოციალური უფლებების საკითხებით დაინტერესებული და ამ სფეროში ჩართული ამერიკის პროფკავშირების ახალგაზრდა აქტივისტებისთვის საქართველოში არსებული სიტუაციის გაცნობას.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ რკინიგზაში, ჭიათურის მაღაროებში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ბათუმის ტექსტილის ფაბრიკებში, ასევე ბათუმის ტრანსპორტის სფეროში და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში არსებულ მდგომარეობას.

შეხვედრის მიმდინარეობისას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროფესიულ კავშირებთან თანამშრომლობის საკუთარ გამოცდილებაზე. თავის მხრივ მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებასა და საქმიანობაზე.

დამსწრეებმა ასევე განიხილეს სოციალური დიალოგის პრაქტიკა აშშ-სა და საქართველოში.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.